2021 წლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი - 4,3%

სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი მშპ-ს - 7,5%

მთავრობის ვალი მშპ-ს - 60,1%

მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) 53 442,6 მლნ ₾

მშპ ერთ სულ მოსახლეზე 4 353,2 (აშშ დოლარი)

კაპიტალური ხარჯები მშპ-ს - 7,9%

მიმდინარე ხარჯები მშპ-ს - 25,1%

ინფლაციის პროგნოზირებული მაჩვენებელი 2021-2024 წლებში 3,0%



ბიუჯეტი 2021

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები 16 758,1 მლნ ₾



- შემოსავლები 11 179,2 მლნ ₾
- არაფინანსური აქტივების კლება 150,0 მლნ ₾
- ფინანსური აქტივების კლება 150,0 მლნ ₾
- ვალდებულებების ზრდა 5 278,9 მლნ ₾

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები 18 384,5 მლნ ₾

- ხარჯები 12 778,3 მლნ ₾
- არაფინანსური აქტივების ზრდა 2 396,9 მლნ ₾
- ფინანსური აქტივების ზრდა 402,7 მლნ ₾
- ვალდებულებების კლება 2 806,6 მლნ ₾



საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი

2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი ემსახურება სამთავრობო პროგრამის შესრულებას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის სოციალური დაცვა, ქვეყნის ეკონომიკური განვითარება და ორიენტირებულია მოქალაქეებზე.

www.mof.ge

ბიუჯეტის გამჭვირვალობა და მოქალაქეთა ჩართულობა

ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობის (The International Budget Partnership) მიერ გამოქვეყნებული „ბიუჯეტის გამჭვირვალობის კვლევა 2019“ (Open Budget Survey 2019) შედეგებით, საქართველომ 81 ქულით მე-5 ადგილი დაიკავა მსოფლიოს 117 ქვეყანას შორის და შეინარჩუნა გასული კვლევის პოზიციები სრულიად გამჭვირვალე ქვეყნების რიგებს შორის.

ბიუჯეტის გამჭვირვალობის და ჩართულობის სისტემა (eBTPS)

aBTPS - სისტემის მიზანია მოქალაქეებს ჰქონდეთ შესაძლებლობა საკუთარი აზრი გამოხატონ ბიუჯეტის დაგეგმვის მიმართულებით, მიიღონ ინფორმაცია საბიუჯეტო პროცესზე და აქტიურად ჩაერთონ იმ პრიორიტეტების დადგენაში, რომლის დაფინანსებაც უნდა განხორციელდეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან. სისტემა შედგება ხუთი მოდულისგან: დაგეგმე ბიუჯეტი, მოქალაქის გზამკვლევი, ბიუჯეტის გრაფიკული მონაცემები, საბიუჯეტო კალენდარი, საჯარო ფინანსების მართვა.

WWW.EBTPS.MOF.GE

სამინისტროების დაფინანსება

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო **5 563,0 მლნ ₾**

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო **2 371,6 მლნ ₾**

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო **1 802,6 მლნ ₾**

თავდაცვის სამინისტრო **900,0 მლნ ₾**

შინაგან საქმეთა სამინისტრო **790,0 მლნ ₾**

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო **469,8 მლნ ₾**

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო **463,6 მლნ ₾**

იუსტიციის სამინისტრო **246,5 მლნ ₾**

საგარეო საქმეთა სამინისტრო **174,2 მლნ ₾**

ფინანსთა სამინისტრო **88,9 მლნ ₾**

ბიუჯეტი 2021

მოქალაქეზე ორიენტირებული ბიუჯეტი 2021

2021 წლის პირველი იანვრიდან გათვალისწინებულია:

- ✓ 70 წლამდე ასაკის პენსიონერებისთვის პენსიის ზრდა 20 ლარით და განისაზღვრება 240 ლარით;
- ✓ 70 წლის ან მეტი ასაკის პენსიონერებისთვის პენსია იზრდება 25 ლარით და განისაზღვრება 275 ლარის ოდენობით.

პენსიის ინდექსაციის ზრდის ეფექტი 2021 წლისათვის შეადგენს 210 მლნ ₾.

სტატუსის მქონე მასწავლებლების სახელფასო დანამატის ზრდა 100 ლარით 2021 წლის იანვრიდან.

კორონავირუსის (COVID-19) პანდემიის ანტიკრიზისული გეგმის შესაბამისად 2021 წელს 1 140 მლნ ₾ არის გათვალსწინებული

- ჯანდაცვის ხარჯების დასაფინანსებლად 450,0 მლნ ₾;
- მოსახლეობის სოციალური დახმარება 310,0 მლნ ₾;
- ბიზნესის ხელშეწყობის ღონისძებები 430,0 მლნ ₾.